სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/47

ქ. თბილისი

26 სექტემბერი 2024

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-11 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 5 სექტემბრის №01-05-04/139 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 26 სექტემბრის №01-06-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. გაერთიანდეს სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე არსებული ბიზნესის ადმინისტრირებისა და საბუღალტრო აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის აკადემიური დეპარტამენტები და მათ ბაზაზე ჩამოყალიბდეს ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დეპარტამენტი;
2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამტკიცდეს სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დებულებასა და საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**